ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - ქალაქ ბათუმის №10 საჯარო სკოლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ჯანელიძე

წევრები:

1. ირმა მეგრელიძე
2. ხათუნა ბარაბაძე
3. დემიდ ფასიეშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება:**სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის №1 საჯარო სკოლა**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა:**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **219985746**

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 24/06/2024 MES 1 24 0000739443 ბრძანებით შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ქალაქ ბათუმის №10 საჯარო სკოლაში. ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 1, 2 ივლისს (მის: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N66 (I კორპუსი).ვიზიტის მიზანი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „**FRONT-END დეველოპმენტი**“ დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასება.
ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, შედგა ჯგუფის წევრების შეხვედრა, სადაც განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან. ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა კოლეჯის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებისა და გაზიარების პრაქტიკის/მტკიცებულებები, დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები,პერსონალის/განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები. ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების შესწავლის მიზნით განხორციელდა გასაუბრება სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან. შესწავლილ და განხილულ იქნა ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი, კანონმდებლობის მოთხოვნებთან შრომითი ურთიერთობების პრაქტიკა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე შესწავლილ იქნა პროფესიულ სტუდენტთა უფლებების დაცვის, მხარდაჭერის მექანიზმები. სტუდენტის სტატუსის მართვის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები. ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. შედგა გასაუბრება დაწესებულების ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, ასევე, სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესებზე, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან. ადგილზე დათვალიერებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის „Front – End დეველოპმენტის" განხორციელების გარემო, ბიბლიოთეკა და სასწავლო რესურსი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანურ თუ მატერიალურ რესურსებთან პროფესიული პროგრამების თავსებადობის მიზნით, შეფასდა ქალაქ ბათუმის #10 საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურული და ადამიანური კაპიტალის ვალიდურობა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის დამატებული პროფესიული პროგრამების მდგრადობის მიზნით მიზანშეწონილია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული პროცესების დროულად მოგვარება. კერძოდ: ინფრასტრუქტური ოწესრიგება - საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების და ინტეგრირებული საგნებისთვის ადამიანური რესურსის დამატება, ასევე რისკების მართვის ეფექტური სისტემის შემუშავება.

საქმე ისაა, რომ სკოლაში დასაქმებული 12 მასწავლებელი პარალელურად მოიაზრება ინტეგრირებული საგნების მასწავლებლად. მათი საათობრივი დატვირთვა საკმაოდ შთამბეჭდავია. მაგ: ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებზე მათემატიკის ან/და ქართულის მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა განისაზღვრება 25 საათით. პროფესიულ პროგრამებზე საათობრივი დატვირთვა არის შესაბამისად პირველ სემესტრში 2 და მეორე სემესტრში 3 სათი. 2 ჯგუფის შემთხვევაში (რაც მოთხოვნილი აქვს სკოლას 30 სტუდენტი), ეს საათები ორმაგდება და მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა გახდება 29-31 საათი, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვას. გარდა ამისა, სკოლას არ აქვს რისკების მართვისეფექტური მექანიზმი, რაც საშუალებას მისცემდა მასწავლებლის ავადობის შემთხვევაში ჩაენაცვლებინა გაკვეთილები შესაბამისი რესურსით, რაც კიდევ უფრო მეტ ეჭვს ბადებს ხარისხიანი პროცესების წარმართვასთან დაკავშირებით.ხრაც შეეხება ინფრასტრუქტურულ ნაწილს, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ **აუცილებლობას საჭიროებს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის დამატება.** სკოლას ჰყავს 28 ერთეული VII –X I ფინანსური კლასი/ მაგ: ბიოლოგიის გაკვეთილებისთვის სულ დათმობილი აქვს 56 საათი კვირაში, რაც ნიშნავს, რომ 1 ლაბორატორიის შემთხვევაში სრულად არის დაკავებული საგაკვეთილო პროცესით ლაბორატორია. ამ პროცესს ემატება პროფესიული პროგრამების ჯგუფების საათები. ანალოგიური მდგომარეობაა ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტ-ლაბორატორიებთან მიმართებით. აღსანიშნავია ასევე, რომ სკოლა არის მზარდი და მომდევნო წლებში (ავტორიზაციის პერიოდით) კიდევ უფრო მეტ ფინანსურ კლასს დასჭირდება კაბინეტ -ლაბორატორიების გამოყენება. ასე მაგალითად: სკოლას ჰყავს 3 მეთერთმეტე კლასი და 11 პირველი კლასი. რაც ქმნის იმის საფრთხეს, რომ არსებული ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს პროფესიული პროგრამების ხარისხიანად წარმართვას და მდგრადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის დამატებული პროფესიული პროგრამების მდგრადობის მიზნით მიზანშეწონილია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული პროცესების დროულად მოგვარება. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალით(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის სტანდარტებთან/კომპონენტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
1) დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) დაწესებულების მისია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) დაწესებულების სტრატეგიული განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4) ადამიანური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5.2) საინფორმაციო რესურსები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5.3) ფინანსური რესურსები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
Front – End დეველოპმენტის	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ა. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა სტანდარტების 1.1.; 3.1. და 4.1. კომპონენტებთან მიმართებით ინდიკატორის მითითებით.

შესაბამისობის რეკომენდაცია: ინდიკატორები: 4.1.1.1; 4.1.1.2; 4.1.1.3. დაწესებულებამ უზრუნველყოს ადმინისტრაციული პერსონალის მოძიება და ორგანიზაციული სტრუქტურისა და მარეგულირებელი დოკუმენტების განახლება, ადმინისტრაციული პერსონალისათვის განმავითარებელი ტრენინგების ჩატარება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში

ბ. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

შესაბამისობის რეკომენდაცია: ინდიკატორების 2.2.1.1, 2.2.1.2; 2.1.1.3; 2.1.1.5. შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დაწესებულებამ უზრუნველყოს სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში საგანმანათლებლო სივრცეების გარემოების აღჭურვა პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსით, პროგრამის განმახორციელებლების ტრენინგების დაგეგმვა/განხორციელება, საჭიროებისამებრ, დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების უზრუნველყოფა, ისე რომ ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესის განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

--

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს. კერძოდ: დაწესებულებას გააზრებული აქვს რა თავისი როლი რეგიონში განათლების, მათ შორის პროფესიული განათლების განვითრების საქმეში, გეგმავს მოიპოვოს ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება. სკოლის მისიაში ასახულია, როგორც ზოგადი განათლების ასევე პროფესიული განათლების მიზნები. კერძოდ, მისიით გაცხადებულია, რომ - ,,მოსწავლეებს/პროფესიულ სტუდენტებს განუვითარებს დემოკრატიული ღირებულებებს, აღზარდის განათლებულ, თავისუფალ, კონკურენტუნარიან ეროვნული და ოგადსაკაცობრიო ფასეულობების მატარებელ პიროვნებას, რომელიც მიაღწევს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს, ისწავლის განსხვავებული აზრისა და კულტურის პატივისცემას“,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„ზოგადი და პროფესიული განათლების საფუძველზე“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს, პროგრესულად მოაზროვნე თაობის აღზრდას, ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა/პროფესიულ სტუდენტთა უწყვეტ პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას მთელი სიცოცხლის განამვლობაში სწავლის შესაძლებლობისა და სწავლების მრავალსაფეხურიანობის უზრუნველსაყოფად.

აღნიშნულით მისია ეხმიანება პროფესიული განათლების პირველ, მეორე და მესამე მიზანს.

ინდიკატორი 1.1.1.1 შესაბამისობაშია

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან. კერძოდ, სკოლა მიიჩნევს რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგამების განხორციელება არის სწორედ სხვა სკოლებიდან განმასხვავებელი ნიშანი. სკოლა გეგმავს, რომ განავითაროს პროფილური მიმართულება კონკრეტულად ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამები.

ინდიკატორი 1.1.1.2 შესაბამისობაშია

3.დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები. კერძოდ: სკოლის ხედვაა ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელშიც ყველას თავისი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენის შესაძლებლობა ექნება. 2029 წლისათვის სკოლა იქნება საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც საზოგადოებას გაუწევს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურებას.

სსიპ ქალაქ ბათუმის №10 საჯარო სკოლა რეგიონში იქნება ლიდერი საგანამანათლებლო დაწესებულება ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით მრავალფეროვანი, ხარისხზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება“ ზსდ გადაწყვეტილებას იღებს

ღირებულებებით:

- თანასწორობა;
- სამართლიანობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ღიაობა
- სანდოობა
- სოციალური ინკლუზია/ხელმისაწვდომობა
- გუნდურობა.

აღნიშნული გამომდინარეობს სკოლის მისიიდან.

ინდიკატორი 1.1.1.3 შესაბამისობაშია

4.მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. კერძოდ:

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ სკოლის დირექტორის ბრძანებით #01-03/142 (12.06.24) შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა მისია, ხედვა ღირებულებების განახლებული ვერსია, ასევე შეიტანა ცვლილებები სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში. სტრატეგიულ გეგმაში ერთ -ერთ სტრატეგიულ მიზნად განისაზღვრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. შესაბამისად აღნიშნული მიზნის მისაღწევი ამოცანები/აქტივობები გაჩნდა სამოქმედო გეგმაში. ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პროექტები განხილულ იქნა სკოლის პედ საბჭოზე და სამეურვეო საბჭოს სხდომაზე, სადაც მოწონებულ იქნა პროექტი. აღნიშნულის მტკიცებულებად წარმოდგენილია სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი 12.06.24 N4-05-/13.

მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებ - გვერდზე და ასევე, მეთოდოლოგიის შესაბამისად, განთავსებულია სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე.

მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია თანამშრომლისათვის, ასევე, გაზიარებული იქნება პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის დაწყებისთანავე.

ინდიკატორი 1.1.1.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.
- · სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები- https://skolebi.emis.ge/schools/307?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%20%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%20%E2%84%9610%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90
- · მისია, ხედვა და ღირებულებების გაზიარების ამსახველი დოკუმენტებით;
- · სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი 12.06.24 N4-05-/13
- · ვიზუალური დათვალიერებით;
- · პერსონალთან გასაუბრების შედეგებით.მისია, ხედვა და ღირებულებების გაზიარების ამსახველი დოკუმენტებით;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.** კერძოდ: კერძოდ: პროფესიული სტუდენტების კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად სკოლას შემუშავებული აქვს სხვადასხვა რეგულაციები. რიგი დოკუმენტები ეხება როგორც სკოლის მოსწავლეებს, ასევე პროფესიულ სტუდენტებს, შესაბამისად ითვალისწინებს, როგორც ზოგადი განათლების, ასევე პროფესიული განათლების რეგულაციებს. მაგალითად: ,,შინაგანაწესი", "მატერიალური რესურსით და მასალა-ნედლეულის უზრუნველყოფის, მათი სარგებლობისა და განვითრების მარეგულირებელი წესი", "ბიბლიოთეკის დებულება".
სსიპ - ქალაქ ბათუმის №10 საჯარო სკოლის დირექტორის N 01-03/150 ბრძანებით (14.06.24) დამტკიცებულია "პროფესიული განათლების მიმართულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", აღნიშნული დოკუმენტის მეორე თავი "პროფესიული სტუდენტის უფლებები, მხარდამჭერი ღონისძიებები და მოვალეობები" მუხლი N13-15 უშუალოდ ეხება პროფესიული სტუდენტების უფლებებს, დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს (პროფესიული სტუდენტის უფლებები, მოვალეობები, დისციპლინური დევნა) , ზემოხსენებული დოკუმენტი ასევე აწესრიგებს შემდეგ საკითხებს:
პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება;
პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
პროფესიული სტუდენტის შიდა და გარე მობილობა;
მიღებული ფორმალური განათლების აღიარება;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი;
პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა(ინფორმაცია შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის შესახებ);
სასწავლო პროცესის მართვასა და უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები;
პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები, წახალისებისა და დისციპლინური დევნის საკითხები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები და სხვ.

სკოლის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.

ინდიკატორი 3.1.1.1 შესაბამისობაშია

2.პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

სკოლაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის საკითხი რეგულირდება სკოლის დირექტორის ბრძანებით N01-03/152 (14.06.24) დამტკიცებული "პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით". აღნიშნული წესი სრულად აკმაყოფილებს კანონდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პროფესიულ სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებით სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია:

- ,,პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი";
- ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური და საკვალიფიკაციო შეფასების ჩატარების წესი";
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი".

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა რომ სკოლის პრაქტიკაში დანერგილია შემდეგი მიდგომა, პირველ დღეებში ტარდება მოსწავლეებთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრები, რა დროსაც მოსწავლეებს, მშობლებს აწვდიან ინფორმაციას როგორც სასწავლო პროცესის შესახებ, ასევე მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების შესახებ. იგივე მიდგომას გამოიყენებენ პროფესიული სტუდენტების მიმართაც. სტუდენტის უფლებებზე და კოლეჯში დადგენილ რეგულაციებზე ინფორმაციას სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირისგან(დირექტორის მოადგილისგან) მიიღებენ, რომელსაც ფუნქციებში გაწერილი აქვს სტუდენტთა კონსულტირება სასწავლო პროცესისა და სხვა საკითხების შესახებ. დაწესებულება განახორციელებს სტუდენტებთან გაცნობითი შეხვედრებს. ასევე მარეგულირებელ დოკუმენტებს განათავსებს საიტზე და უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის მათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაცნობას. სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი, დოკუმენტი ითვალისწინებს ყველა საკვანძო საკითხს.

სკოლა ასევე შეიმუშავებს „პროფესიული სტუდენტის გზამკვლევს“ რაც სტუდენტს გაეცნობა სასწავლო წლის დაწყებისთანავე.

ინდიკატორი 3.1.1.2 შესაბამისობაშია

3.პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

“პროფესიული განათლების მიმართულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის” მეოთხე თავი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის შეფასებას. 25-ე მუხლში გაწერილია შეფასების პროფესის მარეგულირებელი წესები. 26-ე მუხლი კი აწესრიგებს განმსაზღვრელი შეფასების გასაჩივრების(აპელაციის) პროცედურებს. რეგულაციის თანახმად: პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს მოდულის დაწყებისთანავე აცნობს მოქმედ შეფასების სისტემას და აწვდის განმსაზღვრელი შეფასების განხორციელების პროცესის თაობაზე ინფორმაციას; პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს აცნობებს შეფასების თარიღის შესახებ ინფორმაციას შეფასებამდე სულ მცირე 3 სამუშაო დღით ადრე.

პროფესიული განათლების მასწავლებელი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარების თარიღამდე პროფესიულ სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტში მოცემული დავალების არსისა და დავალების შესრულების ინსტრუქციის თაობაზე; პროფესიული სტუდენტი ვალდებულია განმსაზღვრელ შეფასებაზე გამოცხადდეს შეფასების დაწყებისთვის განსაზღვრულ დროს.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ვადებში დაადასტუროს წინმსწრები მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგი/შედეგები; მოდულის მინიმუმ ერთი სწავლის შედეგის ვერ დადასტურება ითვლება პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის კრედიტების აუთვისებლობად და პროფესიულ სტუდენტს აღარ აქვს მომდევნო მოდულზე სწავლის, შესაბამისად, პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;

მოდულის დასრულებიდან მაქსიმუმ სამუშაო 10 დღის ვადაში (არ იგულისხმება წინმსწრები მოდულის დასრულება) მოდულის განმახორციელებელი, პროფესიული და უწყვეტი განათლების სამსახურთან შეთანხმებით, ნიშნავს განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს დირექციას და მოითხოვოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმეორებითი შეფასების გადავადება, სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, განმეორებით შეფასებაზე პროფესიული სტუდენტის არ გამოცხადება ითვლება სწავლის შედეგის ვერდადასტურებად;

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს როგორც პირველადი ასევე განმეორებითი შეფასების შედეგი; პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან მეორე სამუშაო დღეს გაასაჩივროს შეფასების შედეგი, რისთვისაც განცხადებით მიმართავს სკოლის დირექტორს; სკოლის დირექტორი გასაჩივრების თაობაზე განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს შემდგომი სამუშაო დღისა საჩივრის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების
მიზნით, გამოსცემს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს სააპელაციო კომისიის შექმნის თაობაზე;
სააპელაციო კომისია იღებს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:
ა) პროფესიული სტუდენტის საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე;
ბ) მიღებული შეფასების ძალაში დატოვების თაობაზე.
გასაჩივრების შემთხვევაში, სააპელაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს დაესწროს მეცადინეობებს; პროფესიულ სტუდენტს კომისიის გადაწყვეტილება იმავე დღეს ეცნობება სტუდენტს. განცხადების განხილვის შედეგად, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მიღებული შედეგი აისახება შესაბამის შეფასების დამატებით უწყისში.
ინდიკატორი 3.1.1.3 შესაბამისობაშია

3. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა. კერძოდ:დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულების პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ მუხლებს:
მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი
მუხლი 2. პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები
მუხლი 3. ზსდ-ს უფლებები და მოვალეობები
მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა
მუხლი 5. პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა
მუხლი 6. სწავლის საფასური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მუხლი 7. სხვა პირობები

მუხლი 8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

და მხარეთა ხელმოწერები:

მე-7 მუხლში (სხვა პირობები), მითითებულია, რომ წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით პროფესიული სტუდენტი ადასტურებს, რომ გაეცნო სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, ზსდ წესდებას და სხვა სამართლებრივ აქტებს, რომელიც განსაზღვრავს მის უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობის საკითხებს. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ხელშეკრულების გაფორმებამდე გააცნობს აღნიშნულ წესებს აპლიკანტს.

ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკაც. სკოლის რეგულაციის თანახმად არასრულწლოვანის, ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შემთხვევაში(როცა არის ამისი საჭიროება) ხელშეკრულებაზე ხელს აწერს მშობელი, ან მეურვე. არასრულწლოვან პირთან გაფორმებულ ხელშეკრულებას უნდა დაერთოს არასრულწლოვანის დაბადების მოწმობა, მშობლის/მეურვის პირადობის დამდასტურებელი მოწმობა და ხელშეკრულების ბოლოს სტუდენტის ხელმოწერის შემდეგ მშობლის/მეურვის ხელმოწერაც.

ინდიკატორი 3.1.1.4 შესაბამისობაშია

4. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

“პროფესიული განათლების მიმართულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის” მუხლი 23. არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების პროცესს. რეგულაციის თანახმად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება, როცა:

ა)პროფესიული განათლების მასწავლებლის დაკვირვებით, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან თანამშრომლობით, იკვეთება სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება;

ბ) ისგ-ს შემუშავებასთან დაკავშირებით სკოლას მიმართავს სსსმ პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი;

გ) მობილობის საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის მიერ უკვე მიღწეული/დადასტურებული სწავლის შედეგები განსხვავებულია სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისგან შესაბამისი პერიოდისთვის;

დ) სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის, პროგრამის ცვლილებიდან გამომდინარე, იკვეთება გამოწვევა ცალკეული მოდულების კრედიტების ათვისებასთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე). საჭიროება შესაძლებელია გამოიკვეთოს სხვა მიზეზით, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით და სპეციალურად შექმნილი კომისია შეისწავლის საკითხს.

ვ)პროფესიული სტუდენტის მობილობის შემთხვევაში: სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროგრამის მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და აზუსტებს სსსმ სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას;

ზ)თუ პროფესიული სტუდენტის სტატუსი აღდგენის მომენტისთვის პროგრამაში რომელზეც სწავლობდა პროფესიული სტუდენტი განხორციელებულია ცვლილებები:

სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს ისგ-ს შემუშავების პროცესში პროფესიული სტუდენტის/ კანონიერი წარმომადგენლის (საჭიროების შემთხვევაში) ჩართულობა. აღნიშნული უნდა აისახოს ოქმში;

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაძლებელია შემუშავდეს სასწავლო ჯგუფისთვის, მათ შორის, ფორს - მაჟორული სიტუაციებიდან გამომდინარე. აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია და ისგ მტკიცდება დირექტორის მიერ.

ინდიკატორი 3.1.1.5 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“;
- ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური და საკვალიფიკაციო შეფასების ჩატარების წესი“;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი“.
- სსიპ - ქალაქ ბათუმის №10 საჯარო სკოლის დირექტორის N 01-03/150 ბრძანებით (14.06.24) დამტკიცებულია “პროფესიული განათლების მიმართულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი”

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 ოქტომბრის №448 ბრძანებით ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ დამტკიცებულია სკოლის წესდება. ზსდ-ის წესდების შესაბამისად, ზსდ-ის დირექტორი შეიმუშავებს საშტატო განრიგს და ათანხმებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან. სკოლის სკოლის სტრუქტურა (სამინისტროსთან შეთანხმებული, დირექტორის მიერ ინდ აქტით დამტკიცებული)წარმოდგენილია შემდეგნაირად: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი,მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი,საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, დარაჯი, დამლაგებელი, სკოლის მუშა, ცეცხლფარეში, სპეცმასწავლებელი,ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებლები. პროფესიული საგანმანათებლო პროგრამის განხორციელებისათვის გადამუშავდა თანამდებობრივი ინსტრუქციები და გარკვეულწილად დაიფარა ის აქტივობები, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის. ცვლილება შევიდა არსებულ საშტატო განრიგის შესაბამის თანამშრომელთა თანამდებობრივ ინსტრუქციებში (სამუშაო აღწერილობაში), სადაც თანამდებობის შესაბამის პოზიციებს განესაზღვრა პროფესიული განათლების მიმართულებით ფუნქცია-მოვალეობები. სკოლის დირექტორის მოადგილეს დაევალა სასწავლო პროცესის ადმინისტრირება პროფესიულის მიმართულებით, ხოლო ხარისხის უზრუნველოფა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეითავსა სკოლის დირექტორმა. სკოლის სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფენ ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში, საშტატო განრიგის ცვლილების შესაბამისად შეცვალოს/განავითაროს სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტები, ჩაუტაროს განმავითარებელი ტრენინგები ადმინისტრაციულ პერსონალს. სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ სტანდარტთან შესაბამისობის გეგმაში ეს კომპონენტი შეფასებული ქონდა მეტწილი შესაბამისობით, თუმცა სკოლამ დააზუსტა შესაბამისობის გეგმაში ეს კომპონენტი (ბრძანება 01-03/167 14 ივნისი 2024, ცვლილება 01-03/198 01/08/24) და შეაფასა ნაწილობრივი შესაბამისობით. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება მოცემულობას.

ინდიკატორი 4.1.1.1 შეფასდა ნაწილობრივი შესაბამისობით

2.დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სტრუქტურაში პროფესიული განათლების მიმართულებით თანამდებობები არ იყო დამატებული, თუმცა დაწესებულებას სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია პროფესიული განათლების მიმართულებითაც, დაწესებულებაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო რეგულაციების, მათ შორის ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების ანალიზი, იდენტიფიცირდა ყველა ის საქმიანობა/პროცესი, რაც უნდა განხორციელდეს სკოლაში.პროფესიული განათლების მიმართულბით,

შესაბამისად განისაზღვრა თანამდებობების ფუნქციები და შემუშავდა თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები. კერძოდ ფუნქციები დაემატა დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, ბუღალტერს, საქმისმწარმოებელს, ბიბლიოთეკარს; მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორს, საინფორმაციო მენეჯერს, ექიმს. შესაბამისობის გეგმის თანახმად დაწესებულება გეგმავს გადახედოს საშტატო განრიგს, სამუშაო აღწერილობებს, შესაბამისად მარეგულირებელ დოკუმენტებს.

ინდიკატორი 4.1.1.2 შეფასდა ნაწილობრივი შესაბამისობით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

იქედან გამომდინარე, რომ პროფესიული განათლების მიმართულებით დაწესებულებას უნდა ჰყავდეს ხარსხის მართვაზე პასუხისმგებელი პირი და ამ ეტაპზე არ არის შესაძლებლობა ახალი საშტატო ერთეულის დამატების ან შტატგარეშე მომსახურე პერსონალის აყვანის, რამდენადაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ სტრუქტურული ერთეულების ყველა წარმომადგენელი სასწავლო პროცესის მონაწილეა, გარდა დირექტორისა, პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის მენეჯერის ფუნქციების შესრულება, სწორედ მას დაევალა.დირექტორს და სკოლის ადმინისტრაციას გააზრებული აქვს რომ დირექტორის მიერ ხარისხზე პასუხისგება არის ინტერესთა კონფლიქტი და პროგრამის დამატების შემთხვევაში გამოიყენებს ვაუჩერულ დაფინანსებას და პროფესიული განათლები ხარისხის მართვის მიმართულებით აიყვანს შტატგარეშე თანამშრომელს მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში. ზემოთაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით დაწესებულებას 4.1. კომპონენტი სრულად აქვს შეფასებული ნაწილობრივი შესაბამისობით. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება მოცემულობას.

ინდიკატორი 4.1.1.3 შეფასდა ნაწილობრივი შესაბამისობით

შესაბამისობის რეკომენდაცია: ინდიკატორები: 4.1.1.1; 4.1.1.2; 4.1.1.3. დაწესებულებამ უზრუნველყოს ადმინისტრაციული პერსონალის მოძიება და ორგანიზაციული სტრუქტურისა და მარეგულირებელი დოკუმენტების განახლება, ადმინისტრაციული პერსონალისათვის განმავითარებელი ტრენინგების ჩატარება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების სტრუქტურა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №.01-03/158 ბრძანებით დამტკიცებული - ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა ;
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №01-03/159 ბრძანება სკოლის სტრუქტურის, საშტატოს, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების და თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2029);
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2023-2024 სასწავლო წელი);
- დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №.01-03/157 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- · დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №.01-03/151 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა (2024-2025 სასწავლო წელი);
- პირადი საქმეები(ადგილზე).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პირადი საქმეები(ადგილზე დათვალიერებით).
- შესაბამისობის გეგმა(ბრძანება 01-03/167 14 ივნისი 2024, ცვლილება 01-03/198 01/08/24)
- გასაუბრებით

4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;
2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.კერძოდ:ზსდ-ის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-310 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა, აღნიშნული წესი არეგულირებს ისეთ საკითხებს როგორიცაა: სკოლის ორგანიზაციული მოწყობა; ადამიანური რესურსის მოზიდვა, შერჩევა და დასაქმება; ასევე შემუშავებული და დამტკიცებულია სკოლის შინაგანაწესი, მასში გათვალისწინებულია: სკოლა თავის საქმიანობას განახორციელებს პროფესიული განათლების მიმართულებითაც. კერძოდ, შინაგანაწესის მე-10 თავში წარმოდგენილია ინფორმაცია იმის თაობაზე თუ შინაგანაწესის, რომელი მუხლები ვრცელდება პროფესიული განათლების მიმართულებით საქმიანობაზე .

სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ პროცესებს, როგორიცაა: სამსახურში აყვანის გაფორმება, სამსახურში მიღებისას წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, სამუშაოს შესრულების ადგილი, შრომითი ურთიერთობების შეჩერება და შეწყვეტა, სამუშაოს, დასვენების და შესვენების დრო, გაცდენილი სამუშაო დროის საპატიოდ და არასაპატიოდ ჩათვლის წესი, არასამუშაო დროს სამუშაო ადგილზე ყოფნის წესი, დამსაქმებლისა და დასაქმებულთა უფლება-მოვალეობანი, ეთიკის ნორმები, შვებულების ოდენობა და მიცემის წესი, მივლინება, დასაქმებულის მოტივაცია და დისციპლინური პასუხისმგებლობა, შრომის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი და სხვა. შინაგანაწესი წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

ინდიკატორი 4.1.2.1 შესაბამისობაშია

3.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. კერძოდ: სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკით, ასევე, თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებით და შინაგანაწესით დამტკიცებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლებისადმი წაყენებული მოთხოვნები. ვიზიტის დროს შესწავლილ იქნა სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომელთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. მათთან ამ ეტაპზე გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები, რომლის ფარგლებშიც გაკეთებულია შეთავაზება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში თანამშრომლობასთან დაკავშირებით და მიღებულია თანხმობები. როგორც ადმინისტრაციის ისე განმახორციელებელ პირთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ პოზიციას.

ინდიკატორი 4.1.2.2 შესაბამისობაშია

4.დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. კერძოდ: პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები გაწერილია სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკაში. სკოლას მართვის პოლიტიკის დოკუმენტით დარეგულირებული აქვს ისეთი საკითხები როგორიცაა: პერსონალის მართვის პოლიტიკა; კადრების მოზიდვა და შერჩევის პრინციპები; სკოლის მასწავლებელთა /პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევა; მასწავლებლის/პროფესიული განათლების მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსის გამოცხადება; მასწავლებელთა კონკურსის ეტაპები; კომისიის შექმნის წესი და საქმიანობა; ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევა კონკურსის გზით; კონკურსის ჩაშლის/შეწყვეტის საფუძვლები; საპრეტენზიო კომისია.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით და სკოლა თავის საქმიანობას წარმართავს აღნიშნული წესის შესაბამისად.

ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის მე- 2 მუხლის შესაბამისად (პერსონალის მართვის პრინციპები) ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს: დოკუმენტი ეფუძნება ისეთი ძირითად პრინციპებსა და ღირებულებებს, როგორიცაა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **სამართლიანობა:** ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღმა არსებობს სამართლიანი არგუმენტი და გადაწყვეტილების მიღების ობიექტური კრიტერიუმი.
- **თანასწორობა:** ყველა თანამშრომლის მიმართ ვლინდება ერთგვაროვანი მიდგომა. დაუშვებელია გენდერული, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით თანამშრომლების განსხვავება, დისკრიმინაცია.
- **თანაბარი შესაძლებლობები:** ზსდ-ს პერსონალს აქვს თანაბარი შესაძლებლობა საკუთარი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად. ამასთან, დაწესებულებაში მოქმედი შეფასების სისტემა არის სამართლიანი და გამჭვირვალე, თუმცა, ამავდროულად, აუცილებელად დაცულია პირის კონფიდენციალურობა და მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპი.
- **მიზანშეწონილობა:** გადაწყვეტილებები მიიღება გააზრებულად და ანალიზის საფუძველზე. არსებული ალტერნატივებიდან ხდება ფინანსური თუ სხვა რაციონალური ნიშნით ყველაზე მისაღები გადაწყვეტილების შემუშავება.
- **გამჭვირვალობა:** პერსონალის მართვის ყველა ასპექტში დაწესებულება იყენებს ღია და საჯარო მიდგომებს, ხოლო მართვის პროცედურები და რეგულაციები საჯაროა.
- **მონაწილეობის პრინციპი:** ზსდ უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოს შეფასების პროცესში პერსონალის სრულ ჩართულობას.
- **ორიენტაცია ხარისხზე:** ზსდ უზრუნველყოფს დაწესებულებაში სამუშაო სტანდარტების დახვეწის ხელშეწყობას.

სკოლაში გადაწყვეტილებები მიიღება გუნდურად, სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით, მათი კომპეტენციის ფარგლებში.

ინდიკატორი 4.1.2.3 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N 2/310 ბრძანებით დამტკიცებული - ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა ;
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2/312 ბრძანება სკოლის სტრუქტურის, საშტატოს, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების დაა თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- გასაუბრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა).

პროგრამის სახელწოდება	Front End დეველოპმენტი
პროფესიული განათლების დონე	მე-4
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში; Secondary Vocational Qualification in Front-end Development.
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ - ქალაქ ბათუმის №10 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის ბრძანება № 01-02/166
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართ(ებ)ი	ქ.ბათუმი, ჯავახიშვილის ქ.N66(I კორპუსი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30 იმიტირებული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	30 იმიტირებული
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90 კრედიტი

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება
ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. კერძოდ: სსიპ ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლის მისიით, ხედვითა და სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებულია საქმიანობა პროფესიული განათლების მიმართულებით. სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, სკოლა 2024 წელს გეგმავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვებას.

გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას კერძოდ, ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა/პროფესიულ სტუდენტთა უწყვეტ პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას მთელი სიცოცხლის განამვლობაში სწავლის შესაძლებლობისა და სწავლების მრავალსაფეხურიანობის უზრუნველსაყოფად“

ხოლო 2024 წლის 12 ივნისის №04-05/13 სამურვეო საბჭოს სხდომის ოქმით დამტკიცებულ 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით დაკონკრეტებულია რომ აღნიშნული წლიდან სკოლა დაიწყებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას (ცხადია უფლების მოპოვების შემთხვევაში)

თვითშეფასებაში დანართის სახით წარმოდგენილია ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - Front-end დეველოპმენტის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირება“ - დაწესებულების სამოქმედო არეალში არსებობს მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, არსებობს მოთხოვნა იმ უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

ზსდ ჰყავს საკმარისი ადამიანური რესურსი (პროგრამის განმახორციელებლები) საგანმანათლებლო პროგრამის - ,,Front-end დეველოპმენტის“ განსახორციელებლად. ასევე, მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტში მოყვანილია სხვა არგუმენტებიც, მათ შორის, ხაზგასმულია სახელმწიფოს პოლიტიკა ინტეგრირებული პროგრამების სკოლებში დანერგვასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: პროფესიული სგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილია განხორციელების ორგვარი მიდგომით(ინტეგრირებული და არაინტეგრირებული) შესაბამისად კანონმდებლობის გათვალისწინებით, განსხვავებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.

საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა 10 კლასის დაძლევა/განათლება. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც არ არის ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების პროცედურა განსაზღვრულია სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №01-03/152 ბრძანებით - ,,პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი". რაც შესაბამისობაშია კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. რეგულაციის თანახმად სკოლის დირექტორი, ყოველწლიურად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, განსაზღვრავს აპლიკანტთა შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს (ეტაპების არსებობის შემთხვევაში), თითოეულ იმ საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რომელზეც შესაბამის წელს ცხადდება მიღება.

ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია

3.დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. კერძოდ, დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №01-03/155 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიის მიხედვით, პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება სასწავლო გარემოს გამტარობა, სხვადასხვა ცვლებში მუშაობის შესაძლებლობა, ადამიანური რესურსი, მატერიალური რესურსი,

დადგენილი რენტაბელობის ზღვარი, პროგრამის ხანგრძლივობა და სასწავლო გეგმის სპეციფიკა და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დამტკიცებული მეთოდოლოგიით შესაბამისად, სამუშაო ჯგუფმა განსაზღვრა პროფესიულ სტუდენტთა მისაღები ოდენობა - 30 პროფესიული სტუდენტი (ჯგუფში მაქსიმუმ 15 სტუდენტი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია ორი გარემო. ერთი ინტეგრირებული მოდულებისთვის, ხოლო მეორე დარგობრივი მოდულებისთვის. თითოეული გარემო გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე და გამოიყენება მხოლოდ პროფესიული სტუდენტების მიერ. შესაბამისად, დაწესებულებას აქვს საშუალება მიიღოს 30 პროფესიული სტუდენტი.

ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული რესურსი. როგორც მატერიალური ასევე, საგანმანათლებლო რესურსი, რაც ლოგიკურ შესაბამისობაშია მოდულის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

ინდიკატორი 2.1.1.5 შესაბამისობაშია

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 ოქტომბრის №448 ბრძანებისა ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ და ,,პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესის და პროცედურის დამტკიცების შესახებ“ სსიპ ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №01-03/156 ბრძანებით დამტკიცებული წესისა და პროცედურის პირველი თავის მე-18 მუხლის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია ზსდ-ის დირექტორის მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ - ქალაქ ბათუმის №10 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის ბრძანება № 01-02/166 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,Front-end დეველოპმენტი"- ს დამტკიცების შესახებ.

ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისობაშია

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. კერძოდ: პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარს/პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის მისაღწევ შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „Front End დეველოპმენტი" -ს ფარგლებში და პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. კურსდამთავრებულს ენიჭება - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში.

ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია

8.დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ: სსიპ ქალაქ ბათუმის N10 საჯაროსკოლაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია ეფუძნება დემინგის ციკლს. სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №01-03/156 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესი და პროცედურა.

აღნიშნული წესის მიხედვით, დირექტორის 2024 წლის 12 ივნისის №01-03/142 ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი პროგრამის შემუშავების მიზნით, პროგრამის პოტენციური განმახორციელებლები, პროგრამის პოტენციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები (პირები, რომელიც მოიაზრებიან პროგრამის ხელმძღვანელებად), ინტეგრირებული ზოგადი მოდულის განმახორციელებლები.

პროგრამა შემუშავებულია ინტეგრირებული და არაინტეგრირებული მიდგომებით და გათვალისწინებულია „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანების მოთხოვნები.

ასევე, ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს №416 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებულია შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება. შუალედური შეფასების პერიოდი განსაზღვრულია სასწავლო გეგმით.
არაქართულ ენაზე შერჩევის გზით ჩარიცხულ პირთათვის გათვალისწინებულია ,,ქართული ენა A2“ და ,,ქართული ენა B1“ მოდულების სწავლება და სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, მათთვის სწავლება გახანგრძლივდება 10 სასწავლო თვით.

ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილების წესი;
- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2029);
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ,,პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №01-03/152 ბრძანება;
- ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №01-03/155 ბრძანება;
- პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება. არსებობის შემთხვევაში, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესი და პროცედურა დამტკიცების შესახებ“ დირექტორის 2024 წლის 14 ივნისი №01-03/156 ბრძანება;
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების მტკიცებულებები;
- სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №3 საჯარო სკოლაში სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №01-03/154 ბრძანებით დამტკიცებულია "მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი" რომელშიც ასახულია რესურსების განკარგვის, გამოყენების რეგულაციები, რაც უზრუნველყოფს რესურსების ისე განკარგვას, რომ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულმა პროგრამებმა არ შეუშალოს ხელი ერთმანეთს.

სკოლაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია სასწავლო გარემოები, რომლებიც მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის იქნება გამოყენებული. ,,Front-end დეველოპმენტის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულია: ერთი კომპიუტერული კლასი და ერთი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, მეცნიერება და ტექნოლოგიების მოდულის განხორციელების მიზნით. ინდიკატორის მიზნებისთვის ზსდ-ს დირექტორს დამტკიცებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის ფარგლებშიც პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში უნდა მოხდეს სასწავლო აუდიტორიების მატერიალური რესურსით აღჭურვა. ექსპერტთა შეფასებით უნდა მოეწყოს **დამატებით ერთი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია** რათა შეუფერხებლად წარიმართოს როგორც სასკოლო პროგრამები, ისე პროგრამა ,,Front-end დეველოპმენტი" .

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა მოიცავს ,,სპორტის" ინტეგრირებულ მოდულს სკოლის სპორტული დარბაზი იმგვარდაა მოწყობილი, რომ სრულად უზრუნველყოფს აღნიშნული მოდულის განხორციელებას. დაწესებულებაში იგეგმება მოეწყოს და სრულად აღიჭურვოს შესაბამისი სივრცეები პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, ვიზიტის დროს სკოლას გამოყოფილი ჰქონდა მხოლოდ სასწავლო სივრცეები. აღნიშნულისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა (ბრძანება 01-03/167 14 ივნისი 2024, ცვლილება 01-03/198 01/08/24) სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული კომპონენტი. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვის ვადა, იმისათვის რომ სკოლა აღჭურვოს იმ მატერიალური რესურსებით, რომლებიც მითითებულია განაცხადში, პროგრამის დანართებში და აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 20.06.2024 წლის N 714411 კორესპონდენცია, სადაც იგი მიმართავს ,,განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის" დირექტორის მოვალეობის შემსრულებლებსა და სსიპ - ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" სადაც იღებს ვალდებულებას და იძლევა გარანტიებს, რომ აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის პროცესს განახორციელებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომელიც შესყიდვების დასრულების შემდგომ გადასცემს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რათა სასწავლო პროცესის დაწყების მომენტისათვის, ყველა სკოლა აღჭურვილ იქნეს ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისად. პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად სკოლას არ ჰყავს პარტნიორი ორგანიზაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სკოლის თვითშეფასებას აღნიშნულ ინდიკატორთან დაკავშირებით.
ინდიკატორი 2.2.1.1 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით

2.პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას:„Front-end დეველოპმენტის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გათვალისწინებულია -14 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლებისთვის ზსდ ჰყავს 13 განმახორციელებელი. ხოლო დარგობრივი მოდულებისათვის 1 პირი. პროფესიული დარგობრივი მასწავლებლების ოდენობა ვერ უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. მასწავლებელთა კონკრეტული საათობრივი დატვირთვა თითოეული ჯგუფის ფარგლებში დამტკიცდება სწავლის დაწყების წინ თუმცა წარმოდგენილი დატვირთვით არ სცილდება კვირაში 40 საათს.დაწესებულება გეგმავს, რომ სწავლის დაწყებამდე მოიძიოს დამატებით კადრი.აღნიშნული დაფიქსირებულია შესაბამისობის გეგმაში.
ინდიკატორი 2.2.1.2 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით, დაწესებულებაში პროფესიულ მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, რაც დასტურდება მათ მიერ კოლეჯში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ ზოგადი და ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით. ყველა მათგანთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულება. რაც შეეხება ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებს, ისინი შერჩეული არიან სკოლის მოქმედი პედაგოგებიდან, მათი ცოდნა და კომპეტენცია მათ მიერ განსახორციელებელი მოდულების მიმართულებით, დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით, რაც შეეხება დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ პირს, მას წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კომპეტენცია უდასტურდება მხოლოდ კომპიუტერული სისტემებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, სადაც მითითებულია, რომ 6 თვის ვადაში დაწესებულება პროგრამის განმახორციელებლებისთვის დაგეგმავს და განახორციელებს ტრენინგებს. ვინაიდან პროგრამაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები საჭიროებენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების კომპეტენციების გაუმჯობესებას, რისთვისაც დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები. გარდა აღნიშნულისა, ექსპერტებისათვის მოწოდებულ იქნა ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის №739114 წერილი, რომლის შესაბამისადაც, სააგენტო აგრძელებს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან მუშაობას, რომლებმაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინეს ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოსაპოვებლად საავტორიზაციო განაცხადი, როგორც მასწავლებლების მოძიების, ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით.
ყველა განმახორციელებელი სწავლის დაწყებამდე გაივლის ტრენინგ-კურსს - სწავლება პროფესიულ განათლებაში და კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება პროფესიულ განათლებაში.

ინდიკატორი 2.2.1.3 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით

4.პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;
სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №1 საჯარო სკოლის დირექტორის მიერ დამმტკიცებული სამუშაო აღწერილობების თანახმად, გათვალისწინებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნა და სამუშაო აღწერილობა.
,,პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესი და პროცედურა დამტკიცების შესახებ“ სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №1 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანების მიხედვით, პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც არის დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი.

ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისია

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კერძოდ: სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება. ინდიკატორის მიზნებისთვის ზსდ-ს დირექტორს დამტკიცებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ინგლისურენოვანი სასწავლო რესურსის თარგმნა) რომლის ფარგლებშიც პროგრამაში მითითებული საგანმანთლებლო რესურსი ხელმისაწვდომი პროფესიული სტუდენტებისთვის.

პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობის მიხედვით ის ვალდებულია უზრუნველყოს მეცადინეობები მაღალ პროფესიულ დონეზე ჩატარება, მოდულებით გათვალისწინებული შესაბამისი სასწავლო რესურსების გამოყენებით. ახალი საგანმანათლებლო რესურსის საჭიროების შემთხვევაში კი მასწავლებელი ვალდებულია მოახდინოს წერილობითი ინიცირება, პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით. თავის მხრივ, პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსის განსაზღვრა, პროგრამის განმახორციელებლებთან თანამშრომლობით და სასწავლო რესურსების განახლებაზე ზრუნვა. დაწესებულება გეგმავს მოახდინოს სასწავლო რესურსების შევსება, რიდერების მომზადება. აღნიშნული აქტივობა წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმაში.

ინდიკატორი 2.2.1.5 მეტწილ შესაბამისობაშია

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №1 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 21-ე მუხლი განსაზღვრავს სკოლის პოლიტიკას სკოლაში სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნასთან დაკავშირებით.

სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №3 საჯარო სკოლაში სკოლა არ არის ადაპტირებული, რაც უზღუდავს სსსმ პირებს წვდომა ჰქონდეთ სასწავლო რესურსთან ინდიკატორის მიზნებისთვის ზსდ-ს დირექტორს შემუშავებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გეგმაში გაწერილია ვადები, პასუხისმგებელი პირები.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი არეგულირებს ისგ-ს შემუშავების წესსა და პროცედურას, მათ შორის სსსმ პირთათვის.

სამუშაო აღწერილობაში გათვალისწინებულია ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის პოზიცია, რომლებიც ამ ეტაპზე ვაკანტურია. საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება მათი აყვანა (მომსახურების ხელშეკრულება, ვაუჩერული დაფინანსებით).

თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების შემუშავებისას სამუშაო ჯგუფმა გაითვალისწინა სსსმ პირთა საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფის საკითხი.

სამუშაო აღწერილობების მიხედვით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა). ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი მონაწილეობს სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებით განპირობებული საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის პროცესში და სკოლის დირექციას აწვდის ინფორმაციას საჭირო მხარდაჭერის თაობაზე;

ბ). პროფესიული განათლების მასწავლებელი - სსსმ პროფესიული სტუდენტების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, ჩართულია პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსის მომზადების /ადაპტირების პროცესში.

შესაბამისად, მიგვაჩნია რომ სკოლას აქვს მზაობა რომ დაკმაყოფილდეს ზემოაღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა.

ინდიკატორი 2.2.1.6 შესაბამისობაშია

7.დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

წარმოდგენილია ინტეგრირებული და არაინტეგრირებული მიდგომებისთვის საპროგნოზო ბიუჯეტები. ამ ეტაპზე ბიუჯეტი იმგვარად არის შემუშავებული, რომ გათვალისწინებულია მისი ვაუჩერული დაფინანსების შესაძლებლობა. ვინაიდან კომპიუტერული ქსელისა და სისტემების შემადგენელი მოდულების უმეტესობა განსაფასებელია, სავარაუდო ბიუჯეტი გაწერილია უკვე არსებული პროგრამის ანალოგის პროფესიული პროგრამის ბიუჯეტის ფარგლებში;

(ინტეგრირებული მოდულების გათვალისწინებით). ხარჯებში შეიძლება გაითვალოს დამატებით სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვადასხვა ხარჯები, მხოლოდ ის აუცილებლად უნდა უკავშირდებოდეს მხოლოდ პროფესიული განათლების მიზნებს და არ უნდა სცდებოდეს საქართველოს მთავრობის N244 დადგენილებას (პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს დასაფინანსებელი სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე) სადაც პირდაპირ არის განსაზღვრული თუ რაში შეიძლება დაიხარჯოს ვაუჩერული დაფინანსება.

მოცემული საპროგნოზო ბიუჯეტის შესაბამისად პროგრამა რენტაბელურია (ორივე მიდგომით) 6 პროფესიულ სტუდენტზე.

ინდიკატორი 2.2.1.7 შესაბამისობაშია

შესაბამისობის რეკომენდაცია: ინდიკატორების 2.2.1.1; 2.2.1.2; ;2.1.1.3; 2.1.1.5. შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დაწესებულებამ უზრუნველყოს სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში საგანმანათლებლო სივრცეების გარემოების აღჭურვა პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსით, პროგრამის განმახორციელებლების ტრენინგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაგეგმვა/განხორციელება, საჭიროებისამებრ, დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების უზრუნველყოფა ისე რომ ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესის განხორციელებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება;
- შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- შევსებული ფორმა - ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელთა შესახებ;
- განმახორციელებელთა ცნობები;
- თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობა;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა;
- პროგრამის ხელმძღვანელთა რეზიუმე;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტები ინტეგრირებული და არაინტეგრირებული მიდგომებისთვის.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების დაწესებულებაში მოქმედი მექანიზმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. კერძოდ:სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ეფუძნება ხარისხის განვითარების ციკლი ეფუძნება დემინგის "PDCA" სქემას. პოლიტიკის დოკუმენტით გაანალიზებულია სკოლის ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესები". და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დანერგვა, შეფასება, განვითარება გაანალიზებულია, როგორც ძირითადი პროცესი. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად, გათვალისწინებულია პროგრამის შეფასება, მათ შორის, სკოლის მიერ შემუშავებული პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პროცედურების ფარგლებში. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესი და პროცედურა განსაზღვრავს პროგრამის შეფასების საკითხებს, მათ შორის, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა. წესი განსაზღვრავს პროგრამის შეფასების/ანალიზის დროს რომელ კრიტერიუმებთან მიმართებით ფასდება პროგრამა, რომელი შეფასების ინსტრუმენტები გამოიყენება შეფასებისას და სხვ.

ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისია

2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

მოცემული ინდიკატორი შეფასდა მხოლოდ მექანიზმების დონეზე, ზსდ-ში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი შედგება შემდეგი ქვეპროცესებისაგან: სკოლის პროცესებთან დაკავშირებული რისკების შეფასება; პროცესების შეფასების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა; შეფასების განხორციელება; დასკვნის შედგენა და უკუკავშირი; რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი აანალიზებს შეგროვებულ მონაცემებს. ანალიზის შედეგად იძლევა პროგრამის განვითარების რეკომენდაციებს. წესი არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და პროგრამაში ცვლილების შეტანის წესსა და პროცედურას. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის, პროგრამის ადამიანური, მატერიალური რესურსის ცვლილების (რომელიც არ არღვევს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებს), საგანმანათლებლო რესურსის ცვლილების ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“;
- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა;
- სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესი და პროცედურა“;
- პროფესიულ სტუდენტთა; კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ,,Front-end დეველოპმენტის" დანართების სახით ახლავს ორი სასწავლო გეგმა და პროცესი დაიგეგმება სასწავლო გეგმების შესაბამისად. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულია კალენდარული გეგმისა და ინტეგრირებული ზოგადი მოდულების შემთხვევაში მატრიცის შემუშავების აუცილებლობა.

სასწავლო გეგმით მოდულები განლაგებულია ლოგიკური თანმიმდევრობით. გეგმით განსაზღრულია ასევე ყველა მოდულისათვის,როგორც საკონტაქტო საათები ასევე საათები დამოუკიდებელი მუშაობისთვის და შეფასებისთვის.განსაზღვრულია გადაბარების კვირები. სასწავლო გეგმაში სტუდენტთა დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია.

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. კერძოდ:** ამ ეტაპზე შესაძლებელი იყო მხოლოდ მექანიზმების დონეზე აღნიშნული ინდიკატორის შეფასება, რომელთა თანახმად დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებით და მოქნილად ირეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.გამოცდილება სკოლაში არსებობს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში. სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილი იქნება როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესებიც. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია, ჩატარდა ინტერვიუები, რომლის ფარგლებში ისინი გაესაუბრნენ პროფესიულ მასწავლებლებს, ადმინისტრაციას რის საფუძველზეც გაკეთდა დასკვნა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. კერძოდ: მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა - ლექცია დემონსტრირებით, დისკუსია, პრაქტიკული სავარჯიშო, ინტერაქტიული შემთხვევის ანალიზი, პრეზენტაცია, ტექნიკური უნარის დემონსტრირება; კეთება ინსტრუქტაჟი და სხვა. წარმოდგენილი მეთოდები მოდულის განმახორციელებელ პირს შეუძლია შეცვალოს კონკრეტული საკითხის შესაბამისად მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით. სწავლის პროცესში პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულება იყენებს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს. პროგრამა აღჭურვილი იქნება ყველა იმ მატერიალური რესურსით, რომლებიც გათვალისწინებულია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას უკვე ქონდა შესაბამის უწყებასთან კომუნიკაცია, პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებს ჩაუტარდებათ ტრენინგები, სწავლებისა და შეფასების საკითხებზე. ასევე ჩაუტარდებათ საკონსულტაციო შეხვედრები.

ინდიკატორი 2.4.1.3. შესაბამისობაშია.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კერძოდ: ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სასწავლო პროცესის ორგანიზებას უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად ირეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. აუცილებლობის შემთხვევაში სასწავლო პროცესს დაგეგმავს ცვლებში, სტუდენტების მოთხოვნაზე დროულად დააბრუნებს უკუკავშირს. უზრუნველყოფს დროულად ცნობების გაცემას. ამისი გამოცდილება სკოლას აქვს სკოლის მოსწავლეებთან მიმართებაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.4.1.4. შესაბამისობაშია.

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

პროგრამის ფარგლებში არ არის გათვალისწინებული პარტნიორი საწარმო.

ინდიკატორი 2.4.1.5. შესაბამისობაშია.

6. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ,,Front-end დეველოპმენტი" სპროფესიული მოდულების პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში სპეციფიკური უსაფრთხოების წესის შემუშავების საჭიროება არ დგას. თუმცა ინტეგრირებული პროგრამის ინტეგრირებული ზოგადი მოდული ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები" ტარდება საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებში სადაც აუცილებელია უსაფრთხოების წესების დაცვა. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,მეცნიერება და ინფორმაციული ტექნოლოგიების ლაბორატორიებით სარგებლობის წესი", რომელიც სხვა საკითხებთან ერთად არეგულირებს ლაბორატორიებში უსაფრთხოების წესებს

ინდიკატორი 2.4.1.6 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №01-03/150 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №01-03/159 ბრძანება;
- დირექტორის 2024 წლის 12 ივნისის №01-03/140 ბრძანებით დამტკიცებული ,,საბუნებისმეტყველო და ინფორმაციული ტექნოლოგიების ლაბორატორიებით სარგებლობის წესი".

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლის შეფასების სისტემა დარეგულირებულია რამდენიმე ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით და ყველა მათგანში გათვალისწინებულია შეფასების სისტემის მახასიათებლები: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა/ობიექტურობა.

შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტებით გათვალისწინებულია პროგრამების განხორციელების მიდგომები. დამოუკიდებელი ბრძანებების სახითაა დამტკიცებული: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი; შუალედური შეფასების წესი. ყველა ბრძანება შემუშავებულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით და მათში ასახულია სკოლის ხედვა დაწესებულების პრეროგატივას დაქვემდებარებულ საკითხებთან მიმართებაში.

ყველა ზემოაღნიშნული რეგულაცია ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების აპელაციის წესს.

ინდიკატორი 2.4.2.1 შესაბამისობაშია.

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

სსიპ ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №01-03/151 ბრძანებით დამტკიცებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. ბრძანებით განსაზღვრულია: ვერიფიკაციის მიზანი, ვერიფიკაციის პროცესის მონაწილეები, ვერიფიკაციის მიმართულებები და მექანიზმები, ვერიფიკაციის პროცესი, რომელიც ასევე მოიცავს დასკვნის შედგენას და რეკომენდაციების გაცემას. დოკუმენტი იმგვარადაა შემუშავებული, რომ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს პროცესში ჩართულ პირებთან მიმართებით.

ინდიკატორი 2.4.2.2 შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კერძოდ: სსიპ ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №01-03/151 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, სხვა არაერთ საკითხთან ერთად არეგულირებს შეფასების მტკიცებულებების მოპოვების, გადაბარების, შენახვის წესსა და პროცედურებს აღნიშნული რეგულაციის მიხედვით, პროგრამის დასრულების შემდეგ შეფასების მტკიცებულებები გადაეცემა არქივს, სადაც ინახება უწყისის გაფორმებიდან არანაკლებ 3 წელი

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.
სსიპ ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლის პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებით არსებული ყველა რეგულაციით გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტისთვის უკუკავშირის მიცემა და საჭიროების შემთხვევაში მხარდაჭერა. განმავითარებელი ფუნქცია აქვს შუალედურ შეფასებას. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, პროფესიული სტუდენტის აკადემიური უნარების გაუმჯობესების მიზნით, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები უზრუნველყოფენ მის ინდივიდუალურ კონსულტირებას (კონფიდენციალურობის დაცვით). ჯგუფური კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციის გრაფიკს ადგენს მხარდაჭერის სპეციალისტი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №01-03/150 ბრძანებით - პროფესიული განათლების მიმართულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №01-03/160 ბრძანებით დამტკიცებული ,, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი
- დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №01-03/153 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური შეფასების ჩატარების წესი“;
- სკოლის სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №01-03/151 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

08.08.2024
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: